კ ვ ლ ე ვ ა

თემა: ,,როგორ შევუწყო ხელი მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში“

შუახევის მუნიციპალიტეტის სხეფის

საჯარო (თერნალის დაწყებითი) სკოლის

დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებელი

გულთამზე ქათამაძე

2018-2019 სასწავლო წელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1.შესავალი ----------1

2.მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ----------1

3. ლიტერატურის მიმოხილვა ----------2

4.პრობლემა და საკვლევი საკითხი----------4

5.პრობლემის შერჩევა ----------5

6.კვლევის გეგმა ----------6

- კვლევის მეთოდოლოგია
- თვისობრივი, რაოდენობრივი გამოკითხვა
- დაკვირვება
- ჩართული დაკვირვება
- ინტერვიუ
- კითხვარები
- ფოკუსჯგუფი
- შერჩევა
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება

7.კვლევის ვადები ----------9

8.გამოკითხვის შედეგების ანალიზი----------9

9.კვლევის მიგნებები----------15

10.დაგეგმილი ინტერვენციები----------15

11.ინტერვენციის შეფასებები----------17

12.ინტერვენციის შეფასება დირექტორის მიერ ----------18

13.კვლევის შედეგები----------18

14.თვითკრიტიკა ----------20

15.დასკვნა ----------21

16.ბიბლიოგრაფია ----------21

17. დანართები ----------22

18.რეფლექსია ----------29

1. შესავალი

სკოლა არის ზოგადი განათლების მიღების მთავარი საშუალება, ამიტომ მას საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ბავშვის მოქალაქედ ჩამოყალიბების პროცესი ძირითადად სკოლაში მიმდინარეობს. სკოლა ხომ ახალგაზრდებს მომავალი დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ამზადებს. ბავშვის აღზრდას სამი ფაქტორი განაპირობებს:სკოლა, ოჯახი და საზოგადოება. თუ ეს სამი ფაქტორი მჭიდრო, ჯაჭვურ კავშირში არ იქნება ერთმანეთთან, მაშინ აღზრდა გაგვიჭირდება. მშობელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა, ბავშვის აღზრდა, მის განვითარებაზე და განათლებაზე ზრუნვა უმნიშვნელოვანესი და საპასუხისმგებლო საქმეა. სწორედ აღზრდაზეა დამოკიდებული, როგორ პიროვნებად ჩამოყადიბდება ბავშვი, რა უნარ-ჩვევებს შეიძენს, რა ინტერესები ექნება,ცხოვრების როგორ გზას აირჩევს და სხვა.ეკონომიურმა დასოციალურმა პრობლემებმა,ოჯახი, მშობელი დააშორა სკოლას და განათლების მთელი სირთულე მასწავლებელს მიანდო. სწორედ ასეთმა დამოკიდებულებამ მოახდინა ზეგავლენა და დააქვეითა მოსწავლეთა მოტივაცია და ინტერესი, ამან კი თავისთავად გამოიწვია დაბალი აკადემიური მოსწრება.

2. მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა შუახევის მუნიციპალიტეტის სხეფის საჯარო (თერნალის დაწყებით) სკოლაში.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, დაწყებითი საფეხური განსაზღვრულია I-VI კლასის ჩათვლით. სწავლება I-IV კლასებში არ მიმდინარეობს საგნობრივად, ძირითადი დატვირთვა მოდის კლასის დამრიგებელზე. იგი ასწავლის ყველა საგანს , გარდა უცხო ენისა.უცხო ენას კი ყავს სხვა მასწავლებელი.რაც შეეხება V-VI კლასებში და საბაზო საფეხურზე სწავლა მიმდინარეობს საგნობრივად. სხეფის საჯარო სკოლის დაქვემდებარებაშია თერნალის დაწყებითი სკოლა სადაც მხოლოდ ერთი კლასკომპლექტია(მიგრაციის გამო სკოლას აღარ შემორჩა მესამე და მეოთხეკლასელი მოსწავლეები).სწორედ ეს I-II კლასია ჩემი სადამრიგებლო კლასი.თერნალის დაწყებით სკოლას არ აქვს ინტერნეტთან წვდომა, არ აქვს მცირე ბიბლიოთეკაც კი რაც სკოლისათვის დიდი დანაკლისია.საერთო ჯამში სხეფის საჯარო სკოლას ყავს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი და 13 მასწავლებელი, მათგან 3უფროსი მასწავლებელია, მათ შორის ერთი ფასილიტატორია.დაკომპლექტებულია შეფასების ჯგუფი, რომლებიც გადიან ტრენინგებს და საჭიროებისამებრ თავადაც აწვდიან ინფორმაციას სკოლაში მასწავლებლებს.

3. ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევი საკითხის ირგვლივ ლიტერატურა უნდა მოიცავდეს თემასთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რა როლი ეკისრება მშობელთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, კერძოდ მოტივაციის ამაღლებასა და აკადემიურ მოსწრებაში.

გამოცდილებამ და კოლეგებთან თანამშრომლობამ დამანახა, რომ იმ მოსწავლეთა მშობლები რომლებიც ჩართულები სასკოლო ცხოვრებაში გამოირჩევიან მაღალი მოტივაციიითა და აკადემიური მოსწრებით. მათ შვილებს სასკოლო ცხოვრებაში ნაკლები ქცევითი და ემოციური პრობლემები აღენიშნებათ.

პედაგოგიური ლიტერატურის გაანალიზებისას ვეძებდი მეპოვა პასუხი შემდეგ კითხვებზე: რა გამოწვევების წინაშე დგას სკოლა? როგორია სკოლისა და ოჯახის ახალი როლი? რა ტიპის ცვლილებებია პიროვნების განვითარების მხრივ?

მშობლისა და მასწავლებლის კარგი ურთიურთობა ხელს უწყობს მოსწავლის წარმატებას, ზრდის და აძლიერებს მის თვითშეფასებას. თუ ბავშვმა იცის, რომ მშობელი დაინტერესებულია შვილის აკადემიური წარმატებით,ეს დადებითად მოქმედებს მის მოტივაციაზე. სკოლამ უნდა უზრუნველყოს მშობლის უფლება ,რომ პერიოდულად მიიღოს ახალი მონაცემები ბავშვის აკადემიური მოსწრებისა თუ ქცევის შესახებ. აგრეთვე იმ მოთხოვნების შესახებ, რომლის დაკმაყოფილებაც ბავშვს სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად სჭირდება.

ნებისმიერი საქმიანობის შესწავლისას ვაწყდებით გარკვეულ სიძნელეებს და ხშირად იმედგაცრუება გველის.მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ ის მშობლები რომლებიც სერიოზულად მოეკიდებიან თავიანთი უნარებისა და ცოდნის განვითარებას, გაიხარებენ შვილების დამოუკიდებლობისა და სიმწიფის პროგრესით, მათთან ურთიერთობის ახლებური სითბოთი. (თომას გორდონი ,,როგორ გავხდე კარგი მშობელი“ გვ 77-78)

მშობლებთან ურთიერთობის დროს მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს მოსწავლის ოჯახის კულტურული, სოციალური და სხვა მახასიათებლები. იმისთვის ,რომ თანამშრომლობა ეფექტური იყოს , მასწავლებელი უნდა აცნობიერებდეს სხვადასხვა ოჯახში არსებულ კულტურასა და დამოკიდებულებებს. აუცილებელია მასწავლებლებმა და მშობლებმა გააცნობიერონ თავიანთი უმნიშვნელოვანესი როლი მოსწავლის ცხოვრებაში და ერთმანეთთან თანამშრომლობით ხელი შეუწყონ მოსწავლის შესაძლებლობებისა და უნარების განვითარებას.(ანა ჯანელიძე

,,მშობლებთან თანამშრომლობა-გამოწვევა მასწავლებლებისათვის“, მასწავლებლის წიგნი 2.)

ქაღტული ფსიქოლოგიის ფუძემდებლის, დიმიტრი უზნაძის აზრით, ,,აღმზრდელი ვერ მიაღწევს თავის მიზნებს, თუ არ ჩაწვდება ბავშვის ბუნებას“ ხშირ შემთხვევაში, მშობლები ბავშვებთან ურთიერთობისას საკუთარი მიძნებით ხელმძღვანელობენ და ცდილობენ მიზანს მბრძანებლური, ჭკუისდამრიგებლური დამოკიდებულებით მიაღწიონ.

ცვატა ბერძენიშვილი თავის სტატიაში ,,სწავლის მოტივაციის გასაზრდელად“ წერს, აქტივობები დაკავშირებული უნდა იყოს მოსწავლეთა ინტერესებთან, გამოიწვიოს მატი ცნობისმოყვარეობა. ბევრი გაკვეთილი შეიძლება სიმულაციების და თამაშების გზით. საჭიროა მრავალფეროვნება გაკვეთილის დაგეგმვის დროს. ამასთან დავალებები გამომწვევი უნდა იყოს, მაგრამ ადეკვატური. თუ დავალება მეტისმეტად მარტივია ან რთული მოსწავლეებს ექმნებათ მცირე მოტივაცია.(ცვატა ბერძენიშვილი 2015,,სტრატეგიების მოტივაციის გასაზრდელად“http:mastsavlebeli.ge|?p=1528)

კარგი კომუნიკაციის უნარი წარმატების ურთიერთობის წინაპირობაა. უმჯობესია მასწავლებელმა ამ საკითხზე სასწავლო წლის დასწყისიდან იზრუნოს. აცნობოს მშობლებს მომავალი საკლასო ღონისძიებების, საშინაო დავალების შესრულების ხარისხის, მოლოდინისა და კლასის ორგანიზების საკითხების შესახებ.

ყოველთვის გააცანით მშობლებს შვილების დადებითი შედეგები. ეს საშუალებას მისცემს მათ, რომ შეაქონ ბავშვი. ამით კი ბავშვის თვითშეფასება აუმაღლდება.

კარგად ჩამოყალიბებული კომუნიკაცია ძალიან მნიშვნელოვანია მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობაში. მშობელთამ პირისპირ საუბარი ურთიერთობის აწყობის ერთ-ერთი ეფექტური ფორმაა, რადგან ეს საფუძვლად დაედება ერთობლივ მუშაობას საერთო მიზნის მისაღწევად.მშობელმა უნდა იგრძნოს რომ მისი აზრი მნიშვნელოვანია თქვენთვის და წინასწარ ემზადებოდით მასთან შესახვედრად. ეცადეთ შეხვედრისას სასაუბროდ სასაუბროდ მეტი დრო დაუთმოთ მშობლებს, ამით ხელს შეუწყობთ თანამშრომლობითი ურთიერთობის განმტკიცებას. მშობელთან საუბრის დროს მოიყვანეთ კონკრეტული მაგალითები მოსწავლის მიღწევების ან ქცევის დასახასიათებლად.დაასრულეთ საუბარი იმედისმომცემ და პოზიტიურ ნოტაზე.დაისახეთ მიზნები. შეაჯამეთ, როგორ შეუძლია მშობელს დახმარების გაწევა. მშობელმა უნდა გაითავისოს , რომ მოვალეა აკონტროლოს გაკვეთილებზე ბავშვის ყოველდღიური დასწრება. მოსწავლის საგანმანათლებლო პროცესი მხოლოდ

მისი სკოლაში ყოფნით არ შემოიფარგლება. იგი ჩვეულებრივ, საშინაო დავალებებსა და სხვა დამატებით აქტივობებსაც მოიცავს, რომელთა წარმატებით განხორციელებაც ხშირად სწორედ მშობლებზეა დამოკიდებული.

სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მშობელსა და მასწავლებელს შორის თანამშრომლობით ურთიერთობას;

მასწავლებელს, ეფექტიანი სტრატეგიების გამოყენებით შეუძლია წაახალისოს მშობლები და ჩართოს ისინი სასწავლო პროცესში;

. საუბრისას სასურველია ჯერ დაარწმუნოთ მშობელი, რომ კეთილგანწყობილი ხართ მისი შვილის მიმართ და მხოლოდ ამის შემდეგ გადახვიდეთ პრობლემურ საკითხზე;

. გახსოვდეთ, რომ ხშირად მშობლის სასკოლო ცხოვრებაში სათანადო ჩართულობა დადებით გავლენას ახდენს ბავშვის მოტივაციის ამაღლებაზე.(სასწავლო და პროფესიული გარემო.ნაწილი 3 გვ129-137)

4.პრობლემა და საკვლევი საკითხი

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა თერნალის დაწყებით სკოლაში. კვლევა ეხება მშობელთა ჩართულობის როლს სასწავლო პროცესში.

კვლევის მოტივი გამიჩნდა საჭიროებიდან გამომდინარე,რადგან ვარ თერნალის დაწყებითი სკოლის მასწავლებელი, სადაც ერთი კლასკომპლექტია, კერძოდ I-II კლასი, აქ სწავლობს ხუთი მოსწავლე, მათგან ორი პირველკლასელი და სამი მეორეკლასელი. ორი მოსწავლე პირველი და მეორეკლასელი და-ძმაა, ერთი ოჯახიდანაა. ოჯახი სოციალურად დაუცველია, სამი მცირეწლოვანი ბავშვით, დედ-მამით და ბებია-ბაბუით,დედა კი მეოთხე შვილს ელოდება. ოჯახის არცერთი წევრი არ ზრუნავს შვილების სწავლა-აღზრდაზე,რაც მოსწავლეების აკადემიურ მოსწრებაზე მკაფიოდ აისახება.მაღალმთიანეთში სამწუხაროდ ნაკლებია მშობელთა

ინფორმაციულობა და დაინტერესება სკოლასთან თანამშრომლობის შესახებ. სწორედ ამ ფაქტორმა გადამაწყვეტინა ყურადღება გამემახვილებინა ამ საკითხზე.

პრაქტიკული კვლევა არის საუკეთესო საშუალება იმისა , როგორ შევისწავლოთ პრობლემა, საკითხი და როგორ მივიღოთ გადაწყვეტილება პრობლემის აღმოფხვრის, მისი არსის გაუმჯობესების შესახებ.კვლევა მიმართულია სკოლაში არსებულ რეალურ პრობლემაზე. ამასთან მკვლევარ მასწავლებელს საშუალება ეძლევა შეიძინოს ახალი ცოდნა და გადაჭრას პრობლემა, დაინახოს შედეგი. პრაქტიკული კვლევის დროს იზრდება თანამშრომლებს შორის კომუნიკაცია, ხდება ცოდნისა და გამოცდილების გაცვლა-გამოცვლა, გაზიარება და რაც მთავარია კვლევა მასწავლებელს ხელს უწყობს პროფესიულ ზრდა-განვითარებაში, ვფიქრობ რომ კონკრეტული კვლევა ჩემს კოლეგებსაც დაეხმარება ისინი მშობლებთან ურთიერთობის დროს გაითვალისწინებენ ჩემი კვლევის შედეგებს და გაიაზრებენ ჩემს მიერ დაგეგმილ ინტერვენციებს, ეს კი საბოლოოდ სკოლის წარმატებას შეუწყობს ხელს. საჭიროა მკვლევარმა იცოდეს როგორ მიუდგეს პრობლემას, როგორ შეძლოს პრობლემის იდენტიფიცირება.

პრაქტიკის კვლევისას პრიორიტეტი მივანიჭე მშობლების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის ხარისხის ამაღლების საჭიროებას. ვინაიდან ცხადად ჩანდა რომ მშობლები ნაკლებად იჩენდნენ ინიციატივას სკოლასთან ურთიერთობაში. შესაბამისად დავისახე მიზნად ჩამეტარებინა კვლევა არსებული პრობლემის მიზეზის დასადგენად, რაც სარგებელს მოუტანდა როგორც სკოლას, მოსწავლესა და მასწავლებელს, ასევე მშობელს, კერძოდ

- .მკვეთრად გაუმჯობესდება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება;
- გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია;
- .კვლევის შედეგებს მასწავლებლები გამოიყენებენ საკუთარ პრაქტიკაში;
- შეიქმნება პოზიტიური გარემო სკოლას ,მშობელსა და მოსწავლეს შორის.

5.პრობლემის შერჩევა

პრობლემა: ეკონომიურმა და სოციალურმა პირობებმა, მშობელი დააშორა სკოლას, რამაც გამოიწვია დემოტივაცია როგორც მოსწავლეებში, ასევე მშობლებში. ამის

მიზეზი კი არის დაბალი აკადემიური მოსწრება დადაბალი მოტივაცია მოსწავლეებში.

კვლევის მიზანი: მშობელთა ჩართულობის გაზრდით,ხელი შევუწყო სასწავლო პროცესის მიმართ მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას და მათი აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებას.

საკვლევი საკითხი:რა სარგებლის მოტანა შეუძლია მშობელს სასწავლო პროცესში და რა ფაქტორები უშლის ხელს მშობელს იყოს ჩართული სასწავლო პროცესში.

საკვლევი კითხვები:

- როგორ შევუწყო ხელი ჩემი კლასის მოსწავლეების მშობელთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში?
- მშობლებს აქვთ დრო ყურადღება მიაქციონ შვილების აკადემიურ მოსწრებას?
- აკონტროლებენ შვილებს გაკვეთილების მომზადების დროს?
- თვლიან, რომ ბავშვის აკადემიურ მოსწრებაზე ზრუნვა მხოლოდ სკოლის საქმეა?
- იცნობენ თანამედროვე სკოლის სტანდარტებს?
- ოჯახიდან ხომ არ არიან წასული რაიმე ფაქტორის გამო?
- იცნობენ ლიტერატურას მშობლებისათვის?

6.კვლევის გეგმა

- კვლევის მეთოდოლოგია
- თვისობრივი, რაოდენობრივი გამოკითხვა
- დაკვირვება
- ჩართული დაკვირვება
- ინტერვიუ
- კითხვარები
- ფოკუსჯგუფი

- შერჩევა (ვის ვიკვლევ, ხომ არ ვარღვევ ეთიკის ნორმებს)
- კვლევის ინსტრუმენტის შემუშავება

კვლევის პროცესში მონაცემთა შეგროვების მიზნით გამოვიყენე დაკვირვება, კერძოდ ჩართული დაკვირვება; ინტერვიუ; კითხვარები; ფოკუსჯგუფი, რომელიც შედგებოდა:

- I-II კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები;
- I-IV, II, V, VI, VII, VIII და IX კლასების დამრიგებლები;
- სკოლის დირექტორი და ფასილიტატორი.

დიალოგი

პრობლემის გადასაჭრელად პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა დავიწე დიალოგის გამოყენებით. ეს ფორმა ავირჩიე მასწავლებლებთან ურთიერთობისათვის, რათა მიმეღო ჩემთვის სასურველი ინფორმაცია, გამეგო მათი მოსაზრებები და შეფასებები მოცემულ საკითხზე. დიალოგი მიახლოებით ამ მიმართულებით წარიმართა:

- როგორ ფიქრობთ: რა იწვევს მშობლების ნაკლებ ჩართულობას სასწავლო პროცესში?
- თქვენი აზრით: რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამ პრომლემის მოსაგვარებლად?
- ხომ არ არის ეს პრობლემა გამომდინარე დღევანდელი განათლების სისტემაში მუდმივად მიმდინარე რეფორმებზე მშობლების ნაკლებად ცნობადობაზე? და სხვა.

ინტერვიუ

როგორც კვლევის დამატებითი მეთოდი, მეტი ინფორმაციის მოსაპოვებლად, ჩემი კლასის მოსწავლეებთან გამოვიყენე ინტერვიუ. მინდოდა გამეგო რამდენად იყვნენ მათი მშობლები სასკოლო ცხოვრებაში ჩართულები? თუ ეცალათ მშობლებს მათთვის? ეხმარებიან თუ არა გაკვეთილების მომზადებაში? კითხულობენ თუ არა

მათთან ერთად მხატვრულ ლიტერატურას? ამ კითხვებით დავადგინე რამდენად მონაწილეობენ მშობლები მოსწავლეთა აკადემიური დონის გაუმჯობესებაში.

ასევე ჩაღრმავებული ინტერვიუ ჩატარდა სკოლის პედაგოგებთან, რამაც საშუალება მომცა მეტი ინფორმაცია მიმეღო საკვლევ პრობლემასთან მიმართებით და მიმეღო პასუხები შემდეგ კითხვებზე:

- რა სახით ვლინდება თქვენს მუშაობაში მშობელთა ნაკლები ჩართულობა?
- რა ღონისძიებების გატარებას გეგმავთ მის მოსაგვარებლად?
- მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე ახდენს თუ არა გავლენას მშობელთა ნაკლები ჩართულობა?

ფოკუსჯგუფი

სამიზნე ჯგუფში შედიოდნენ, მოსწავლეები, მათი მშობლები და კლასის დამრიგებლები. სპეციალურად მომზადებული მქონდა კითხვარები (დანართი 1, დანართი 2 და დანართი 3), რომლებითაც შევეცადე გამეგო,რამდენად ეხმარებოდნენ მშობლები შვილებს გაკვეთილების მომზადების დროს, თუ არ ეხმარებოდნენ რა იყო ამის მიზეზი. მუშაობის დროს ყურადღებას ვაქცევდი ეთიკურ ნორმებს. დაცული იყო ანონიმურობა და სანდოობა.

7.კვლევის ვადები

აN	აქტივობა	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
1	კვლევის სტრუქტურის გაცნობა	✓									
2	გაკვეთილზე დაკვირვება		✓								
3	ლიტერატურის გაცნობა	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	
4	საკვლევი თემის მიმოხილვა, კითხვარის შედგენა, დამუშავება და გამოკითხვა. მიღებული შედეგების ანალიზი		✓		✓						
5	ინტერვიუ პედაგოგებთან			✓							
6	ინტერვენციების განხილვა და განხორციელება			✓	✓						
7	ინტერვენციების შედეგების ანალიზი			✓	✓	✓	✓	✓			

8	შედეგების გაცნობა/პრეზენტაცია სკოლის პედაგოგებთან რეკომენდაციები									✓	

8. გამოკითხვის შედეგების ანალიზი

დიაგრამებისა და ცხრილების საშუალებით განვახორციელე გამოკითხვის შედეგების ანალიზი

8.1 მშობელთა გამოკითხვის შედეგები:




2.არის თუ არა ისეთი საკითხი, რომელზეც ინდივიდუალურად უნდა ვისაუბროთ მე და თქვენ?
50
დიახ
არა


3.მიგითითებიათ თუ არა თქვენს შვილზე გამოიყენოს თავისი უნარები სკოლაში მეგობრული გარემოს შესანარჩუნებლად?
25
50
25
დიახ
არა
ნაწილობრივ

8.2.მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგები:






3. რომელი მშობელია დაინტერესებული თქვენი სწავლის მიმართ?
40
20
20
20
დედა
მამა
ორივე
არცერთი


4. სასურველია შენთვის გაკვეთილზე მშობლის დასწრება?
40
60
დიახ
არა

8.3.მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები:






3.თქვენთვის, როგორც პედაგოგისათვის მოუმართავთ თუ არა მშობლებს რაიმე ინიციატივით?
30
70
დიახ
არა


4. შესაძლებელია თუ არა მშობლებთან კომუნიკაციისსირთულეები სიღრმისეულად აღმოვფხვრათ დაწყებით კლასებში?
14
14
72
დიახ
არა
ნაწილობრივ

9.კვლევის მიგნებები

- იმ მშობლების შვილები, რომლებიც მეტად ჩართული არიან სასკოლო ცხოვრებაში, კარგი ქცევით და უკეთესი აკადემიური მიღწევით გამოირჩევიან;

- მშობლების აზრით მთელი სკოლა და მასწავლებელია სრულად პასუხისმგებელი სასწავლო პროცესზე;
- სოციალურ-ეკონომიური პრობლემები;
- შორი მანძილი საცხოვრებელი ადგილიდან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებამდე;
- მშობელთა მოუცლელობა.

კვლევის მიგნებებისა და ანალიზის შემდეგ მიზნად დავისახე რამდენადაც შესაძლებელი იქნებოდა ,იმდენად აქტიურად ჩამერთო მშობლები სასკოლო ცხოვრებაში, რაც ხელს შეუწყობს:

- მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდას;
- მასწავლებლისა და სკოლის პოპულარობის ამაღლებას მოსწავლეებში;
- მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების მკვეთრად გაუმჯობესებას;
- მოსწავლეების სკოლისადმი კეთილგანწყობას.

10.დაგეგმილი ინტერვენციები

1.მშობლებთან, ოჯახისწევრებთან შეხვედრები მოსწავლის სახლში;
2.მშობელთა აქტიური ჩართვა სკოლის ღონისძიებებში და პროგრამებში;
3.მშობელთა აქტიური მონაწილეობა სკოლის მართვაში და გადაწყვეტილებების მიღებაში.

4. მშობელთა ცნობიერების ამაღლება სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მნიშვნელობაზე.

მოსწავლეების შესაძლებლობებისა და ინტერესების უკეთ გასაცნობად, ვესტუმრე მათ ოჯახებში, სადაც ვისაუბრე სკოლაში მიმდინარე მნიშვნელოვან პროცესებზე. მოვისმინე მათი აზრი დაგავცვალეთ იდეები. ჩემი აზრით ამდაგვარი შეხვედრები და თანამშრომლობა ხელს შეუწყობს მშობლებსა და სკოლასშორის ხიდჩატეხილობის მოგვარებას;

რამდენჯერმე შევხვდი კოლეგებს, ვისაუბრე აღნიშნულ პრობლემაზე დამის გამომწვევ ფაქტორებზე, იმისათვის რომ მშობლისა და სკოლას შორის დაახლოების თემა ყველა მასწავლებლისათვის პრიორიტეტული გამეხადა.

მოსწავლეთა მშობლებს შევთავაზე და მოვიწვიე სკოლაში რათა ერთობლივად გაგვეცნო და გაგვეანალიზებინა ლიტერატურა თომას გორდონის „როგორ გავხდე კარგი მშობელი“,სადაც ნათლად და გასაგებადაა გადმოცემული მშობლისა და შვილის ურთიერთობებსა და სხვადასხვა სიტუაციაში საჭირო რეაგირების შესახებ.ამ ლიტერატურის გასაცნობად და სიტუაციების ირგვლივ სამსჯელოდ მშობლები ყოველი თვის დასასრულს მოდიოდნენ სკოლაში და ვმართავდით შეხვედრებს. მშობლები აღნიშნავდნენ, რომ ბევრი რამ გაითვალისწინეს საკუთარ პრაქტიკაში და შედეგითაც კმაყოფილები არიან. ამ აქტივობამ მნიშვნელოვანი და საჭირო ნაყოფი გამოიღო.

ასევე, მშობლები მოვიწვიე სკოლაში კვლევით საინფორმაციო შეხვედრაზე(წინასწარ გავაფრთხილე რომ ეს შეხვედრა არ იქნებოდა განსჯადი, პირიქით ერთობლივად დავგეგმავდით ისეთ აქტივობებს, რომელიც მათ შვილებს დაეხმარებოდა აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებაში). მშობლებს გავაცანი: ეროვნული სასწავლო გეგმა; ზოგადი განათლების კანონი; სკოლის შინაგანაწესი; სკოლის, მასწავლებლის, მშობლის და მოსწავლეების უფლება- მოვალეობანი. ამასთან ერთად გავაცანი ჩემი იდეა კვლევის შესახებ და ვისაუბრეთ, რატომაა უმნიშვნელოვანესი ასპექტი მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში.

რეკომენდაციები:კვლევის შედეგებით დაინტერესდნენ კოლეგებიც, შედეგების გაცნობის შემდეგ მივედით დასკვნამდე, თუ გვინდა მოსწავლეებს ავუმაღლოთ სწავლის მოტივაცია, შევუქმნათ განწყობა და გავაუმჯობესოთ აკადემიური მოსწრების ხარისხი, საჭიროა:

- ❖ ჩავრთოთ მშობელი საგაკვეთილო პროცესში;
- ❖ ჩავატაროთ კლასის საათი მშობელთა ჩართულობით;
- ❖ ჩავრთოთ მშობლები არაფორმალურ განათლებაში;
- ❖ კლასის ხელმძღვანელი მივიდეს ყველა მოსწავლის ოჯახში და გაეცნოს მოსწავლეთა ოჯახურ პირობებს;
- ❖ მშობლებთან იქონიოს მუდმივი კონტაქტი,მიაწოდოს მშობლებს ინფორმაცია მათი შვილების ქცევისა და აკადემიური წარმატებების შესახებ და მიიღოს მათგან უკუკავშირი;
- ❖ მშობლები ინფორმირებულნი იყონ განათლების სიტემაში მიმდინარე ყველა ცვლილებისა და სიახლის შესახებ;
- ❖ კვლავაც გაგრძელდეს აქტივობები მშობლების მონაწილეობით.

11. ინტერვენციის შეფასებები

პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შემდეგ, ხარვეზებისა და მიზეზების სხვადასხვა აქტივობებით მოგვარებამ და შედეგებმა გვიჩვენა შემდეგი:

- ❖ გამოყენებულმა ინტერვენციებმა მკვეთრად გაზარდა მშობლის მონაწილეობა სასწავლო პროცესში, ისინი ბევრად დიდ ყურადღებას უთმობენ თავიანთ შვილებს და აქტიურად ერთვებიან სკოლის თუ სკოლისგარეშე აქტივობებში;
- ❖ მოტივაცია გაიზარდა მშობელთა,მოსწავლეთა და მასწავლებელთა, მშობელი მეტ დროს უთმობს შვილის ინტელექტუალურ, ემოციურ და სოციალურ საჭიროებ ებს;

- მოსწავლეებმა იგრძნეს მშობლების დაინტერესება და ჩართვა სასწავლო პროცესში, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ დაკისრებულ ვალდებულებას, სწავლის მიმართ გაუჩნდათ მეტი ინტერესი, მშობლების დახმარებით მოხდა მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და საბოლოო ჯამში ამღლდა მათი აკადემიური მოსწრება;
- ამაღლდა სკოლისა და მშობლის ურთიერთობისა და თანამშრომლობის ხარისხი;
- სკოლას მეტი მხარდაჭერა გაუჩნდა მშობლის მხრიდან, გაიზარდა მშობლისა და მასწავლებლის კომუნიკაციის ხარისხი, მოსწავლეს აუმაღლდა შესაძლებლობების რწმენა;
- გაიზარდა საშინაო დავალებების შესრულების ხარისხი, განმტკიცდა შეგნებული დისციპლინა;
- შეიცვალა მშობელთა ხედვა,მათთვის მიმზიდველი გახდა სკოლში შეხვედრები, ისინი ახლა თავადაც ინაწილებენ შესაბამის პასუხისმგებლობას;

12. ინტერვენციის შეფასება-დირექტორის მიერ

იმ მიზნით რომ, დამედგინა მისი მოსაზრება კვლევის ჩატარების შესახებ, ინტერვენციების შემდეგ ინტერვიუ ავიღე სკოლის დირექტორთან(მან თავიდანვე იცოდა დაგეგმილი კვლევის მიმდინარეობის შესახებ). ინტერვიუს დროს დირექტორმა აღნიშნა, რომ კმაყოფილია კვლევის დროს გამოყენებული აქტივობებით და მზადაა დაეხმაროს თითოეულ იმ მასწავლებელს არამარტო წინსვლისათვის, არამედ, სხვადასხვა კლასების და სკოლის საჭიროებებისათვის ვინც გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს , ღონისძიებებს და ახორციელებს მათ.

13. კვლევის შედეგები

თუ გრაფიკულად გამოვსახათ იმას, რომ მასწავლებელი მარტოდაა სწავლების დროს, კერძოდ ის მიდის მოსწავლესთან , ბოლომდე იხარჯება. ცდილობს გააგებინოს, ასწავლოს. მოსწავლეც ცდილობს თავადაც გაიგოს,თუმცა მას არ ეხმარება მშობელი.მასწავლებელს სურს გავიდეს ეროვნული სასწავლო გეგმით

გათვალისწინებულ შედეგზე, ყოველნაირად ცდილობს მოსწავლეს გაგებინოს საგაკვეთილო მასალა, იხარჯება ბოლომდე.ის მშობლიდანაც ელის უკუკავშირს. თუმცა მშობელსა და ბავშვს შორის მთავარი კავშირი დაიკარგა. ბავშვი და მშობელი ,,ვერ მიდის ერთმანეთთან“. ამ დროს გრაფიკული გამოსახულება ასეთი სახისაა.



ჩემი კვლევის მთავარი მიზანი იყო მჭიდროდ შემეკრა ეს სამკუთხედი. იქ სადაც სწავლის ხარისხი მაღალია სქემას ასეთი სახე აქვს:



შეკრულია მაგიური კავშირი: მშობელს, მოსწავლესა და მასწავლებელს შორის კავშირი უწყვეტია. სწორედ მას შემდეგ რაც განვახორციელე ინტერვენციები, მივიღე ასეთი ჯაჭვური და უწყვეტი კავშირი.

კვლევამ დაგვანახა: მშობლის როლი სასკოლო ცხოვრებაში განუსაზღვრელი და უმნიშვნელოვანესია. ის რომ მშობელთა ნაწილი ვერ ახერხებს მონაწილეობას შვილის სასკოლო ცხოვრებაში, არ ნიშნავს რომ ნაკლებად არიან საკუთარი შვილების მომავლით დაინტერესებული და არ აქვთ სურვილი, პირიქით ისინი განიცდიან და ცდილობენ აქტიურ თანამშრომლობას სკოლასთან. ასევე არსებობს მშობელთა ისეთი კატეგორიაც რომელსაც ერთგვარი კომპლექსი გააჩნია და წარმოუდგენლად მიაჩნია სკოლასთან ურთიერთობა. აუცილებელია მშობელთა მხრიდან მეტი მონდომების გამოჩენა და მასწავლებლისა და მშობლის ერთობლივი ძალით მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდა სწავლის მიმართ. მშობელმა უნდა გაითავისოს ,რომ დაწყებით საფეხურზე , სადაც ბავშვი ახალად ეუფლება ანბანსა და თვლა-ანგარიშს(მითუმეტეს ჩვენს სოფელს საბავშვო ბაღიც არა აქვს) სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სკოლასთან თანამშრომლობა და მასწავლებლისა და მშობლის ერთობლივი ძალისხმევა.

მოსწავლე უნდა გრძნობდეს, რომ მასწავლებელი დაინტერესებულია მისი ცოდნის , წინსვლის და წარმატებების მხრივ. მას არ უნდა ეშინოდეს საკუთარი თუნდაც მცდარი აზრის გამოთქმა. კიდევ ერთი უმნიშვანელოვანესი საშუალება, რაც დაგვეხმარება მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდაში არის კეთილგანწყობილი მასწავლებელი, რომელიც მუდამ მზად არის დააიმედოს, აუხსნას, დაეხმაროს მოსწავლეებს.

14. თვითკრიტიკა

როგორც კვლევის შედეგებმა გვაჩვენა, მშობელი სასკოლო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი და განუყოფელი ნაწილია, ამიტომაც მასწავლებლები უნდა ვიყოთ კორექტულები, სისტემატიურად უნდა ვცდილობდეთ მშობელთა მაქსიმალურად ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში, ისინი ჩვენი სახით მოსიყვარულე და მზრუნველ მეგობარს უნდა ხედავდნენ, ისეთ ადამიანს რომელსაც თავისი შვილის ბედი ანდო და ვისი იმედიც აქვს რომ მხარში დაუდგება ნებისმიერი პრობლემის დროს. მშობლის მასწავლებლისა და მოსწავლის მჭიდრო კავშირი არ შემოვფარგლოთ

ერთი სასწავლო წლით(კვლევა განხორციელდა 2018-2019ს. წელს), თანამშრომლობა ამოუწურავი საკითხია და კვლავაც უნდა გაგრძელდეს შემდეგ სასწავლო წლებშიც.

15. დასკვნა

2018 2019 სასწავლო წელს თერნალის დაწყებით სკოლაში ჩატარდა პრაქტიკული კვლევა თემაზე :,,როგორ ავამაღლოთ მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში". კვლევის მიზანი იყო ჩაგვება მშობლები იმ ჯაჭვურ კავშირში, რასაც ითვალისწინებს თანამედროვე განათლების სისტემა. დავრწმუნდი, რომ თუკი იქნება მჭიდრო კავშირი სკოლასა და მშობელს შორის, გაიზრდება მოსწავლეთა მოტივაცია და ამაღლდება აკადემიური მოსწრება. კვლევის ფარგლებში ჩამოვაყალიბე კვლევის ჯგუფი. კვლევის შედეგების შედეგად განვახორციელე სხვადასხვა ინტერვენციები. კვლევის შედეგად მიღებული მიგნებების განსახორციელებლად შევიმუშავე რეკომენდაციები. თანამშრომლებს გავუზიარე საკუთარი პედაგოგიური კვლევის შედეგად მიღებული ცვლილებები, ინტერვენციები და შედეგები.

16. ბიბლიოგრაფია

1. თომას გორდონი ,,როგორ გავხდე კარგი მშობელი";
2. სასწავლო და პროფესიული გარემო. ნაწილი 3;
3. მასწავლებლის წიგნი9. ,,ბავშვის ბუნების ფენომენი და აღზრდის პრობლემები" 2018 წელი. გვერდი 182-184;
4. ანა ჯანელიძე ,,მშობლებთან თანამშრომლობა- გამოწვევა მასწავლებლებისათვის", მასწავლებლის წიგნი 2;
5. ცვატა ბერძენიშვილი 2015 ,,სტრატეგიები სწავლის მოტივაციის გასაზრდელად";
6. ეროვნული სასწავლო გეგმა;
7. როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები, სოფიო ლობჟანიძე, 3 მაისი, 2012, mastsavlebeli.ge/?p=281.

17. დანართები

ძვირფასო მასწავლებლებო!

სხეფის საჯარო სკოლის(თერნალის დაწყებითი სკოლა)მასწავლებელი ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას ,,სასწავლო პროცესში მშობელთა აქტიურად ჩართულობის და თანამშრომლობის შესახებ“.თქვენი მონაწილეობა და როგორც პედაგოგების აზრი ძალზედ მნიშვნელოვანია კვლევის განხორციელებისა და წარმატებისათვის.ვფიქრობ თქვენგან მიღებული ინფორმაცია,რომელსაც აუცილებლად გავითვალისწინებ, გამიუმჯობესებს ურთიერთობას ჩემსა და მოსწავლეების მშობლებს შორის.ინფორმაცია ანონიმურია.

გთხოვთ გულწრფელ პასუხებსა და თანამშრომლობას!

1. თქვენი აზრით თუ ახდენს ზეგავლენას მშობელთა ჩართულობა მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებაზე?

ა) კი;

ბ) არა;

გ) ნაწილობრივ.

2.დროის რა შუალედებში აწვდით მშობლებს ინფორმაციას თავიანთი შვილების ქცევებისა თუ აკადემიური მოსწრების შესახებ?

ა)საჭიროებისამებრ;

ბ)ხშირად;

გ)ყოველთვის;

დ)იშვიათად.

3.თქვენი აზრით რა არის მიზეზი, რის გამოც არ იჩენენ მშობლები დაინტერესებას სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობაზე?

_____

_____

_____

_____

4.თქვენთვის როგორც პედაგოგისთვის მოუმართავთ თუ არა მშობლებს რაიმე ინიციატივით?

ა) კი;

ბ) არა.

5.შესაძლებელია თუ არა, მშობლებთან კომუნიკაციის სირთულეები სიღრმისეულად აღმოვფხვრათ დაწყებით კლასებში?

ა)კი;

ბ) არა;

გ) ნაწილობრივ.

6.როგორ ფიქრობთ, უნდა ესწრებოდნენ მშობლები თავიანთი სურვილით შვილებს გაკვეთილებზე?

_____

_____

_____

7.თქვენი აზრით მოსწავლეთა სწავლის ხარისხზე ახდენს თუ არა გავლენას ოჯახური კონფლიქტები?

ა)ნაწილობრივ:

ბ) სრულიად ;

გ) მნიშვნელოვნად.

8.რა სახის სირთულეებს აწყდებით თქვენს მუშაობაში მშობელთა კომუნიკაციასთან დაკავშირებით?

_____

_____

_____

9.თქვენი აზრით რა მნიშვნელობა აქვს სკოლასა და მშობელს შორის თანამშრომლობით გარემოს და ნორმალურ კომუნიკაციას, როგორც მომავალი თაობის აღზრდასა და განვითარებაზე, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვაზე?

_____

_____

_____

_____

_____

10.რა მთავარ ამოცანას დამისახელებთ მშობელსა და სკოლას შორის კომუნიკაციასთან დაკავშირებული სირთულეების დასაძლევად?

_____

_____

_____

_____

ძვირფასო მოსწავლეებო!

<u>მოგესალმებით!</u>

სხეფის საჯარო სკოლის (თერნალის დაწყებითი სკოლა) მასწავლებელი ვატარებ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევას მშობელთა სასწავლო პროცესში აქტიურად მონაწილეობისათვის. თქვენი მონაწილეობა მნიშვნელოვანია კვლევის წარმატებით განხორციელებისათვის.არ არის საჭირო ვინაობის მითითება.

გთხოვთ გულრწფელ პასუხებსა და თანამშრომლობას!

1.თუ ერევიან მშობლები თქვენს სასკოლო ცხოვრებაში?

ა) ხშირად;
ბ)იშვიათად;
გ) საერთოდ არა.

2.ხართ თუ არა კმაყოფილი სასკოლო გარემოთი? და რის შეცვლას ისურვებდით?

_____
_____
_____
_____

3.რამდენად გეხმარებიან მშობლები საშინაო დავალებების შესრულებაში?

ა)ყოველთვის;
ბ)იშვიათად;
გ)ხშირად;
დ) საერთოდ არა.

4.ვინ ადგენს თქვენი დღის რეჟიმს?
_____
_____

5.რომელი მშობელია მეტად დაინტერესებული თქვენი სწავლის მიმართ?

ა)დედა;
ბ) მამა;
გ) ორივე.

6. სასურველია შენთვის გაკვეთილზე მშობლის დასწრება?

ა)კი;
ბ)არა.

ძვირფასო მშობლებო!

მოგესალმებით!
სხეფის საჯარო სკოლის(თერნალის დაწყებითი სკოლა)მასწავლებელი ვატარებ კვლევას,, მშობელთა სასწავლო პროცესში ჩართულობის და თანამშრომლობითი ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნი'. მშობელსა და სკოლას შორის თანამშრომლობა და აზრთა გაზიარება მნიშვნელოვანია და აუცილებელი.შესაძლებელია სკოლამ არ იცოდეს ის იფორმაცია,რაც მშობელს შეუძლია მიაწოდოს სკოლას და პირიქით, შესაძლოა მშობელი შვილს არ იცნობდეს იმ მხრიდან რომლიდანაც მას სკოლა იცნობს.ამიტომაც თქვენი აზრი ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

გთხოვთ თანამშრომლობასა და გულწრფელ პასუხებს!

1.გთხოვთ დამიწეროთ თქვენი შვილის საუკეთესო შესაძლებლობები და უნარები?

_____
_____
_____
_____

2.ხომ არ შეგიმჩნევიათ თქვენი შვილის თანატოლებს შორის:
(შეიძლება შემოხაზოთ რამდენიმე პასუხი)

ა)დამცირება;
ბ)დაჩაგვრა;
გ)უთანასწოროდ მოპყრობა;
დ)ათვალწუნება;
ე)ფიზიკური შეხება;
ვ)არცერთი ზემოთხსენებული ფაქტი არ შემიმჩნევია.

3.იცით თუ არა ისეთი ფაქტი, რომელსაც თვლით რომ მე უნდა ვიცოდე, რაც საშუალებას მომცემს სასწავლო პროცესის ეფექტიანობაში?

ა) კი;
ბ) არა.

4.რა მოლოდინი გაქვთ,წლის ბოლოს რას მოგიყვებათ თქვენი შვილი მთელი სასწავლო წლის გამოცდილების შესახებ?

5.რა მოლოდინი გაქვთ წლის ბოლოს თქვენი შვილის სწავლის მიმართ?
_____
_____

6.თქვენი აზრით არის თუ არა ისეთი საკითხი რომელზედაც ინდივიდუალურად უნდა ვისაუბროთ და ან მე უნდა ვიცოდე მის შესახებ?

ა) კი;
ბ) არა.

7.მიგითითებიათ თუ არა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)თქვენს შვილზე, გამოიყენოს თავისი უნარები სკოლაში მეგობრული და კეთილგანწყობილი გარემოს შესანარჩუნებლად--მიუთითოს მჩაგვრელს თუ ამხილოს და შეარცხვინოს ის პიროვნება რომელიც სხვას ამცირებს თუ ჩაგრავს?

ა) კი;
ბ)არა;
გ) ნაწილობრივ.

გმადლობთ თანამშრომლობისათვის

შუახევის მუნიციპალიტეტის სსიპ სხეფის საჯარო სკოლის (თერნალის დაწყებითი სკოლა) დაწყებითი კლასების უფროსი მასწავლებლის გულთამზე ქათამაძის მიერ ჩატარებული პრაქტიკის კვლევის რეფლექსია

გასული სასწავლო წლის შედეგმა დამაფიქრა და მიმდინარე2018-1019 სასწავლო წლის დასაწყისიდან მიზნად დავისახე პრობლემის:,,ეკონომიურმა და სოციალურმა ფაქტორებმა,მშობელი დააშორა სკოლას, რამაც გამოიწვია დემოტივაცია როგორც მოსწავლეებში, ასევე მშობლებში. მიზეზი კი არის დაბალი აკადემიური მოსწრება და დაბალი მოტივაცია მოსწავლეებში“, გამომწვევი ფაქტებისა და მისი აღმოფხვრის გზების ძიება, მითუმეტეს, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა გამომდინარეობდა მოსწავლეთა საჭიროებიდან. დაბალი მოტივაცია და აკადემიური ხარისხი აღენიშნებოდათ იმ მოსწავლეებს, რომელთა მშობლები ნაკლებად ჩართულები იყვნენ სასკოლო ცხოვრებაში, ისინი ან არ ვერ ეხმარებოდნენ შვილებს საშინაო დავალებების მომზადებაში. ამიტომაც დავიწყე საჭიროებიდან გამომდინარე კვლევა, თუ როგორ დაეხმარებოდა მშობელთა ჩართულობა მოსწავლეთა აკადემიური დონის ამაღლებასა და მოტივაციის გაზრდას.

კვლევის წარმოებაში დიდად შემიწყო ხელი სკოლის ფასილიტატორმა, რომელიც ასევე უფროსი მასწავლებელია და შერჩეულმა ფოკუს ჯგუფმა.

კვლევის პერიოდში ვხვდებოდი მშობლებს, ვაცნობდი მათ სათანადო ლიტერატურას ,,როგორ გავხდე კარგი მშობელი“, ვატარებდი გაკვეთილებს მშობელთა ჩართულობით, ვისწრებდი მათ კლასის საათებზე, ვხვდებოდი თანამშრომლებს და ფასილიტატორს. ვიზიარებდით ერთმანეთის მოსაზრებებს აღნიშნული თემის ირგვლივ. მშობლები დაინტერესდნენ, ყურადღებით ადევნებდნენ თვალს სასკოლო ცხოვრებას, მათ ახალისებდათ შვილების წარმატებები, რის შედეგადაც თვალნათლივ გამოჩნდა შედეგი, მოსწავლეებს აუმაღლდათ მოტივაცია სწავლის მიმართ.

კვლევამ ცხადყო, თუ გვინდა ავამაღლოთ მოსწავლეთა მოტივაცია და აკადემიური დონე, მშობელი როგორც ერთ-ერთი ძირითადი ქვაკუთხედი და რესურსი მაქსიმალურად ჩავრთოთ სასკოლო ცხოვრებაში.

აღნიშნული კვლევის ჩატარებით სარგებელს ნახავენ არამარტო ჩემი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები, არამედ ჩემი კოლეგები და მათი მოსწავლეები და მოსწავლეთა მშობლებიც.

კვლევა წარიმართა გეგმის მიხედვით. სწორად შერჩეულმა პრობლემამ და მიზანმა, კვლევის წარმატებაში ხელი შემიწყო. კვლევის ჩატარების გამოცდილება არ მქონია, ამიტომაც ვიხელმძღვანელე ,,როგორ წარვმართო პედაგოგიური კვლევები, სოფიო ლობჟანიძე, 3 მაისი, 2012, mastsavlebeli.ge/?p=281. საინტერესო და მოსაფრთხილებელი იყო მშობლებთან მუშაობა, ვცდილობდი მათთან ურთიერთობისას ნდობის მოპოვებას, მათგან მიღებული ინფორმაცია ყოფილიყო დაცული.

კოლეგებისაგან კვლევის შედეგებისა და რეკომენდაციების გაზიარების შემდეგ მივიღე უკუკავშირი. მათ აღნიშნეს, რომ ნამდვილად აქტუალური და სწორად შერჩეული საკვლევი თემა მქონდა აღებული და შესწავლილი. ისინი მსგავსი პრობლემის აღმოსაფხვრელად საკუთარ კლასებში გამოიყენებენ კვლევის მეთოდებსა და ხერხებს.